

დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსის დაბეგვრის თავისებურებები

ნათელა ვაშაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დებდემონა მაღლაკელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

დღე, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, ნარმოების და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. გადამხდელისათვის დღე, დგინდება მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი მათი შეძენისას. 2017 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული წესი შეიცვალა. კერძოდ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დაემატა 48¹ მუხლი - მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპესაციო თანხა ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ავანსის თანხის მიღების მომენტში. მიღებული ავანსის დღე -ით დაბეგვრისას აუცილებელია განისაზღვროს მყიდველიდან წინასწარ გადახდილი თანხა ჩაითვლება თუ არა ავანსად, რადგან იგი ყოველთვის არ დაიბეგრება. კერძოდ, პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპესაციო თანხად და ოპერაცია დაიბე-

გრება დღე - ით, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა საგადასახადო ცვლილებით დადგენილი ყველა პირობა.

საკვანძო სიტყვები: დამატებული ღირებულების გადასახადი, დაბეგვრა, საგადასახადო კოდექსი, ავანსი, დასაბეგრი ოპერაცია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შესავალი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადი საერთო-სახელმწიფოებრივი, არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების, წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას. დღე წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.ამჟამად დღე შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღე ის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3% დან 15% მდე). საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღე-ს არსებობა ევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობაა.

დღე-ს გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაყოფლობით რეგისტრირებულნი არიან დღე-ს გადამხდელებად. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დღე-ს გადამხდელებად პირების რეგისტრაცია წარმოებს დღე-თი დასაბეგრი ოპერაციის განსაზღვრულ ოდენობამდე მიღწევის მომენტიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

დღე-თი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა საქონლის, მომსახურების მიწოდების ან იმპორტის ოპერაციები განთავისუფლებულია დღე-ს გადახდისაგან, რაც დაშვებულია საგადასახადო კოდექსით. დღე-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს და მისი გადახდა ხდება ყოველთვიურად დადგენილ ვადაში.

დღგ-ს გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე.

საწარმოსათვის დამატებული ღირებულების გადასახადი დგინდება მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი მათი შეძენისას. 2017 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული წესი შეიცვალა. კერძოდ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დაემატა 48¹ მუხლი - მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპესაციო თანხა ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას თანხის მიღების მომენტში.

ძირითადი ტიპები

საგადასახადო კოდექსით ცვლილება უკვე განხორციელებულია, ამიტომ დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების გაწევამდე მყიდველისაგან მიღებული ავანსის თანხები, რა დროსაც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენს მიღებული ავანსის თანხა დღგ-ს გარეშე, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროა ავანსის მიღების მომენტი (საგ. კოდ.მუხლი 161.1.ა.ბ.დ.).

საწარმოსათვის მიღებული ავანსის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრისას აუცილებელია განისაზღვროს მყიდველიდან წინასწარ გადახდილი თანხა ჩაითვლება თუ არა ავანსად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #996/48¹ მუხლის 2-ე პუნქტით პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპესაციო თანხად და ოპერაცია დაიბეგრება დღგ - ით, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

ა) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება,

ბ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მო-

მსახურების რაოდენობა/მოცულობა,

გ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების ღირებულება,

დ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ - ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ზემოთ აღნიშნული დადგენილი პირობები, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე განხორციელდა საკომპესაციო თანხის გადახდა და ამ თანხის მიღების საანგარიშო პერიოდზე გამონერილია ავანსის დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ით დაბეგვრის დრო არის საკომპესაციო თანხის მიღების მომენტი და ასევე დღგ-ით რეგისტრირებულ გადამხდელს უფლება აქვს გადახდილ ავანსის თანხაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაითვალოს მისაწოდებელ სასაქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

განვიხილოთ როგორ შეიძლება აღნიშნული პირობების მიხედვით მიღებული ავანსის დაბეგვრა:

მაგალითი N1:

შპს „გრილსერვისმა“ (შემდეგში - გამყიდველი) სავაჭრო კომპანია - შპს „მზიურს“ (შემდეგში - მყიდველი) 2017 წლის 2 მარტს გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გამყიდველს 2017 წლის აპრილის თვეში (30 აპრილამდე) მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 30 ცალი 30 000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამსუნგის მარკის (მოდელი - RL34ECSW1/BWT) მაცივრები. შპს „მზიურმა“ შპს „გრილსერვისს“ მისაწოდებელი მაცივრების ღირებულება, ავანსის სახით, სრულად გადაუხადა ხელშეკრულების გაფორმების დღეს (2017 წლის 2 მარტს). მაცივრების მიწოდება კი განხორციელდა 2017 წლის 20 აპრილს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაციის შესაბამისად, პირის მიერ მისაწოდებელი საქონლის ან/და გა-

საწვეი მომსახურების ღირებულების, ავანსის სახით, მიღების შემთხვევაში, ავანსის მიღების საანგარიშო პერიოდში დღე-ით დაბეგვრას დაექვემდებარება მიღებული ავანსის თანხა (საქონლის/მომსახურების ღირებულება), გამყიდველმა, შპს „გრილსერვისმა“ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ს - 4567,27 ლარის ($= 30\,000 * 18 / 118$) დეკლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მარტის თვის (ავანსის თანხის მიღების საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში შპს „გრილსერვისი“ შპს „მზიურს“ გამოუწერს ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (მყიდველს აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება აქვს მარტის თვეშივე).

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცდა ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ახალი ფორმა, რომელიც გამოიწერება საკომპესაციო თანხის დღგ-ით დაბეგვრისას.

- თუ ერთ საანგარიშო პერიოდში ხორციელდება საკომპესაციო თანხის მიღება და საქონლის/მომსახურების მიწოდება, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება საქონლის/მომსახურების მიწოდებისას.

- თუ საკომპესაციო თანხის მიღება და საქონლის/მომსახურების მიწოდება სხვადასხვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდება, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საკომპესაციო თანხაზე გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემების მიხედვით, შეამციროს მიწოდებულ საქონელზე/განეულ მომსახურებაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხული დღგ-ის თანხა.

აღნიშნული რეგულაციით შპს „გრილსერვისმა“ მაცივრების მიწოდებისას 2017 წლის 20 აპრილს უნდა გამოწეროს სასაქონლო ზედნადები სრულ საკომპესაციო თანხაზე და თვის ბოლოს აღნიშნული ზედნადების საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. იგი უფლებამოსილია აპრილის თვის

დღგ-ის დეკლარაციის დანართში მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპესაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას. მოცემულ შემთხვევაში შპს „გრილსერვისს“ აპრილის თვეში დღგ-ის დეკლარაციით დაერიცხება დღგ $4567,27 - 4567,27 = 0$.

მაგალითი N2:

შპს „გრილსერვისმა“ (შემდეგში - გამყიდველი) სავაჭრო კომპანია - შპს „მზიურს“ (შემდეგში - მყიდველი) 2017 წლის 2 მარტს გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გამყიდველს 2017 წლის აპრილის თვეში (30 აპრილამდე) მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 30 ცალი 30 000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამსუნგის მარკის (მოდელი - RL34ECSW1/BWT) მაცივრები. შპს „მზიურმა“ შპს „გრილსერვისს“ მისაწოდებელი 10 ცალი მაცივრების ღირებულება, ავანსის სახით, 10000 ლარი გადაუხადა ხელშეკრულების გაუფორმების დღეს (2017 წლის 2 მარტს). 20 ცალი 20000 ლარის ღირებულების მაცივრების მიწოდება კი განხორციელდა 2017 წლის 20 აპრილს.

დღგ-ით ავანსის თანხების დაბეგვრის ახალი რეგულაციის შესაბამისად, პირის მიერ მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილის, ავანსის სახით, მიღების შემთხვევაში, ავანსის მიღების საანგარიშო პერიოდში დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ მიღებული ავანსის თანხა (საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილი), საქონლის/მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდში (საგ. კოდ. მუხლი 161.1.ა.).

გამყიდველმა, შპს „გრილსერვისმა“ მიღებულ ავანსზე დარიცხული დღგ-ს - 1525,42 ლარის ($= 10\ 000 * 18 / 118$) დეკ-

ლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მარტის თვის (ავანსის თანხის მიღების საანგარიში პერიოდის) დღე-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში შპს „გრილსერვისი“ შპს „მზიურს“ გამოუწეროს ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. მაცივრების მიწოდებისას 2017 წლის 20 აპრილს უნდა გამოწეროს სასაქონლო ზედნადები სრულ საკომპესაციო თანხაზე და თვის ბოლოს აღნიშნული ზედნადების საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. იგი უფლებამოსილია აპრილის თვის დღე-ის დეკლარაციის დანართში მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპესაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღე-ის თანხას. მოცემულ შემთხვევაში შპს „გრილსერვისი“ აპრილის თვეში დღე-ის დეკლარაციით დაერიცხება დღე 4567,27- 1525,42 = 3041,85 ლარის ოდენობით.

ავანსის თანხების დღე-ით დაბეგვრის ახალი წესი ვრცელდება უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრაზეც, იმ განსხვავებით, რომ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ (გარდა ავანსად გადახდილი თანხებისა) ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი (საგ. კოდ. კანონპრ. §161.8.).

მაგალითი N3:

სამშენებლო კომპანიამ - შპს „მშენებელმა“ (შემდეგში - სამშენებლო კომპანია) ქუთაისში თამარ მეფის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის თებერვლის თვეში. 2017 წლის მარტის თვეში (15 მარტს) სამშენებლო კომპანიამ ფ/კ ანდრია .მალაქელიძეს (შემდეგში - მყიდველი) გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ივალდებულია 2017 წლის 15 ოქტომბრამდე ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება და წლის ბოლომდე მყიდველი-

სათვის 70000 ლარის ღირებულების (70კვ.მ.) ფართის გადაცემა (საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია), ხოლო თავის მხრივ მყიდველმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 10 მაისს გადაუხადა 20 000 ლარი, ხოლო 2017 წლის 20 ივლისს 40 000 ლარი.

2017 წლის 15 ოქტომბერს შპს „მშენებელმა“ მყიდველს გაუფორმა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება (რომელიც დამოწმდა ნოტარიული წესით), რომლის საფუძველზეც 2017 წლის 3 დეკემბერს მყიდველს საკუთრებაში გადასცა (დაურეგისტრირა) 70 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. უძრავი ქონების ღირებულების დარჩენილი ნაწილი 10 000 ლარი მყიდველმა სამშენებლო კომპანიას გადაუხადა 8 დეკემბერს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაციით, შპს „მშენებელმა“ ამ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ს ნაწილის - 3050,85 ლარის ($= 20\,000 \cdot 18 / 118$) დეკლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მაისის თვის (ავანსის პირველი ნაწილის მიღების საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში სამშენებლო კომპანია მოთხოვნის შემთხვევაში ფ/პ ანდრია მაღლაკელიძეს (20 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრი ოპერაციის მეორე ნაწილზე (40 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა - 6101,69 ლარი ($= 40\,000 \cdot 18 / 118$) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ივლისის (ავანსის მეორე ნაწილის გადახდის საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ივლისის) თვეში სამშენებლო კომპანია ფ/პ ანდრია მაღლაკელიძეს მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (40 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრ ოპერაციაზე ბოლო ნაწილზე (10 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა - 1525,42 ლარი ($= 10\,000 \cdot 18 / 118$) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ოქტომბრის თვეში (ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების ე.ი. მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ოქტომბრის) თვეში სამშენებლო

კომპანია მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (10 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს საქონლის(გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო - ან თბოენერგიის, გაზის ან წყლის) ან მომსახურების რეგულარულად ან უწყვეტად მიწოდების/განევის შემთხვევებზე (საგ. კოდ. კანონპრ. §§161.1.ა.ბ.ბ.; 161.1.ა.ბ.გ.).

მაგალითი N4:

ფ/პ ანდრია მერკვილაძემ სატელევიზიო კომპანიას - შპს „სატელიტს“ (შემდეგში - სატელევიზიო კომპანია) 5 თვის (2017 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის) ინტერნეტ სატელევიზიო მომსახურების ღირებულება 100 ლარი (= 20 ლარი * 5) გადაუხადა წინასწარ, ავანსის სახით 2017 წლის 10 იანვარს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაცია, იანვრის თვეში გადახდილი ავანსის მიუხედავად, დასაბეგვრი ოპერაციის დროის ცვლელებას არ იწვევს, რადგან სატელევიზიო მომსახურების განევა განიხილება რეგულარულად და უწყვეტად მომსახურებად, რომელზეც ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს, შესაბამისად სატელევიზიო კომპანია დასაბეგვრ ოპერაციებზე დარიცხულ დღგ-ს დაადეკლარირებს „ძველი პრინციპით“: იანვრის (მომსახურების განევის პერიოდის) დღგ - 3,05 ლარი ($=20 \cdot 18/118$), თებერვლის - 3,05 ლარი ($=20 \cdot 18/118$), მარტის - 3,05 ლარი ($=20 \cdot 18/118$), აპრილი - 3,05 ლარი ($=20 \cdot 18/118$), მაისი - 3,05 ლარი ($=20 \cdot 18/118$),

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს ასევე 2017 წლის 1 იანვრამდე დადებულ გარიგებებზე, თუ ავანსის თანხა (ან მისი რაღაც ნაწილიც) მიღებული იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე (საგ. კოდ. კანონპრ. §309.98).

მაგალითი N5:

შპს „კომფორტი“ (შემდეგში - მყიდველი) და შპს „ავეჯის სახლს“ (შემდეგში - გამყიდველი) შორის 2016 წლის 20 დეკემბერ-

რს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამყიდველი ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 მარტამდე მყიდველისათვის მიეწოდებინა სხვადასხვა დასახელების საოფისე ინვენტარი, სულ 30 000 ლარის ღირებულების. შპს „ავეჯის სახლს“ შპს „კომფორტმა“ 2016 წლის 25 დეკემბერს ავანსის სახით გადაუხადა 8 000 ლარი, 2017 წლის 20 იანვარს 24000 ლარი. საქონლის მიწოდება გამყიდველმა განახორციელა 2017 წლის 27 მარტს.

მოცემულ შემთხვევაში, ავანსის თანხა გადახდილი იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე, ავანსის თანხის დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი აღნიშნული გარიგების საფუძველზე განხორციელებულ ოპერაციებზე არ გამოიყენება და დღგ-ით დაბეგვრა მოხდება „ძველი პრინციპით“ ე.ი. შპს „ავეჯის სახლი“ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ს თანხას 4576,27 ლარი ($=30000 \cdot 18/118$), უნდა დაადეკლარირებს 2017 წლის მარტის (საქონლის მიწოდების საანგარიშო პერიოდის) თვის დღგ-ს დეკლარაციით.

მიღებული ავანსის თანხა არ დაიბეგრება დღგ-ით, თუ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულების ნაწილსაც წარმოადგენს მიღებული ავანსი, გათავისუფლებულია დღგ-ით დაბეგვრისაგან.

საქონლის/მომსახურების შემძენისაგან მიღებული თანხა ჩაითვლება ავანსად და დაიბეგრება დღგ-ით იმ შემთხვევაშიც, როცა საქონლის/მომსახურების შემძენს მომწოდებლის მიმართ თანხის გადახდის მომენტში ერიცხება დავალიანება, თუმცა მხარეთა შეთანხმებით გადახდილი თანხა ჩაითვლება არა ძველი, უკვე არსებული დავალიანების გასტუმრების ანგარიშში, არამედ განხილული იქნება მომავალში მისაწოდებელი საქონლის ან გასაწევი მომსახურების ღირებულებად (ან მის ნაწილად).

თუ ავანსის გადახდა არ ხორციელდება კონკრეტული, თანხის გადახდის მომენტამდე შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების შესაძენად და შესაბამისად თანხის მიღების მომენტში, შეუძლებელია მოხდეს მისაწოდებელი საქონლის ან

გასაწვევი მომსახურების იდენტიფიცირება ან თუ ვერ დგინდება მისაწოდებელი საქონლის/ გასაწვევი მომსახურების რაოდენობა/მოცულობა ან ფასი, მიღებული ავანსის თანხა არ ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია. როგორც წესი, ასეთ ავანსის თანხას წარმოადგენს დებიტორებისაგან ზედმეტად მიღებული ფულადი სახსრები.

დასკვნა

ამრიგად, დღგ-ს ახალი საკანონმდებლო ცვლილება მოაწესრიგებს პრაქტიკაში ისეთ შემთხვევებს, როდესაც ავანსის გადახდა წინ უსწრებს თვითონ საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ეს თანხა დახარჯულია მიწოდების/მომსახურების გაწვევის მომენტიდან, რაც ართულებს შემდგომ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დეკლარირებისას. ანალიზი ცხადყოფს, რომ დღგის მდგომარეობით კომპანიებს ერიცხებათ ასობით მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია იმ მიზეზით, რომ დაბეგვრის მომენტში გადასახადის თანხა კომპანიებს აღარ გააჩნდათ, რის გამოც მისი ადმინისტრირება ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც ასევე იწვევს ბაზარზე არათანაბარი კონკურენციის პირობებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ცვლილებებით და დამატებებით 2016 წლის 15 ნოემბრამდე გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი 2016
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 49 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის # 966 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, თბილისი 2017 წლის 15 თებერვალი
3. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.rs.ge> <https://matsne.gov.ge> <http://www.nplg.gov.ge> <http://www.in->

vestinestonia.com <http://forbes.ge> <http://www.bbi.ge> <http://www.doingbusiness.org> <http://rs.ge>

REFERENCES:

1. The Tax Code of Georgia with changes and amendments (November 15, 2016), the publishing house “Bona Causa”, Tbilisi 2016;
2. Decree #49 “About Tax Administration” issued by the Minister of Finance concerning the amendments to be made in decree #966 issued by the Minister of Finance in December 31, 2010, Tbilisi, February 13, 2017;
3. Internet resources: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>; <http://rs.ge>;

TAXATION PECULIARITIES OF ADVANCE PAYMENTS OF THE VALUE ADDED TAX

Natela Vashakidze,

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

Dezdemonia Maglakelidze,

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

RESUME

The Value Added Tax (VAT), as an indirect tax is a mandatory contribution to the budget that is collected incrementally based on the surplus value, added to the price on goods, work, services, production and circulation process within the territory of Georgia as well as on all types of taxable imported goods within the territory of Georgia. For a taxpayer VAT is determined as the additional charge on the price of the provided commodity or service that is paid by the consumer during its purchase. On January 1, 2017 the abovementioned rule was changed. In particular, according to a

new amendment _ „About Tax Administration” some changes were introduced to the instruction that was due to the decree #966 issued by the Minister of Finance in December 31, 2010 and 48¹ article was added _ compensatory amount of goods/services to be provided is subject to value added tax at the moment of receiving advance payments. When levying VAT on the advances received it is necessary to identify whether the amount of money paid beforehand by the buyer is considered to be advance or not as VAT does not always apply. In particular, the amount paid by a person will be considered to be a compensatory amount and the operation will be the VAT taxable if at the moment of receiving the sum all the conditions determined by the taxation amendments are met.

Key words: value added tax, levy of taxes, the tax code, advance, taxable operation, tax invoice.